ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

14 – 28 მაისი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული სპეცოპერაციის შესახებ

17 მაისს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ 6 მხარდამჭერის დაკავების შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული პირების საქმესთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებას და მის ხელშეწყობას (328), საბრძოლო მასალის და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს (236).

17.05.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ჩრდილოეთ სირიაში

თურქეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გასულ კვირას, სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, სპეცოპერაცია “მშვიდობიანი გაზაფხულის” ფარგლებში განხორციელებული სამხედრო რეიდის დროს, თურქეთის სპეცსამსახურებმა ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულ ქურთების მუშათა პარტიასთან დაკავშირებული 5 მებრძოლი გაანეიტრალეს.

16.05.2023

თავდასხმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კოლონაზე ანამბრაში

ანამბრას შტატის (ნიგერია) საპატრულო სამსახურის სპიკერმა, ტოჩუკუ იკენგამ დაადასტურა ინფორმაცია ტერორისტული ორგანიზაცია ბოკო ჰარამის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კოლონაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად 9 ადამიანის გარდაცვალების შესახებ.

18.05.2023

თალიბანის ახალი პრემიერ-მინისტრის, აბდულ ქაბილის შესახებ

ოფიციალური ისლამაბადი ავრცელებს ინფორმაციას მუჰამედ ჰასან ახუნდის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით. თალიბანის სპიკერის, ზაბიჰულა მოჯაჰედის განმარტებით, პრემიერ-მინისტრის პასუხისმგებლობების

დროებითი შემსრულებლის პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ სანქცირებული, აბდულ ქაბირი დაიკავებს.

19.05.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ნაბლუსში

ისრაელის თავდაცვის ძალების და საერთო შიდა უსაფრთხოების სამსახურის („შინ ბეთი“) მიერ ნაბლუსში ჩატარებული კოორდინირებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, უსაფრთხოების სამსახურებმა დასავლეთ სანაპიროზე ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი 11 პირი დააკავეს. ინფორმაციას სპეცოპერაციის შესახებ ისრაელის თავდაცვის ძალები ავრცელებს.

23.05.2023

ისრაელის თავდაცვის ძალების სამხედრო რეიდი დასავლეთ სანაპიროზე

დასავლეთ სანაპიროზე სამხედრო რეიდის განხორციელების დროს, ისრაელის თავდაცვის ძალების სამხედროებზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა 3 პალესტინელი მამაკაცი - ფათი რიზქი, აბდულა ჰამდანი და მოჰამედ ზეიტონი. პალესტინის პრეზიდენტის მაჰმუდ აბბას ფატას პარტიამ დაადასტურა აღნიშნული პირების კავშირი სამხედრო დაჯგუფება ალ-აქსას მოწამეთა ბრიგადასთან.

23.05.2023

კონტრტერორისტულ სპეცოპერაციათა სერია სირიაში

სირიის დემოკრატიული ძალების მიერ გავრცელებული პრეს-რელიზის თანახმად, ტალ ჰამისში, დერ ეზორში, მანბიჯსა და ჰასაკაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან დაკავშირებული 8 პირი. სპეცოპერაციის ფარგლებში სირიის დემოკრატიული ძალების მებრძოლებმა დაკავების ადგილიდან ამოიღეს იარაღი, ამუნიცია და რამდენიმე ტერორისტული თავდასხმის დოკუმენტირებული გეგმა.

23.05.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია დეირ ამარში

ლიბანის ეროვნული არმიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს ინფორმაციას დეირ ამარის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ალ კაიდას მაღალი რანგის წარმომადგენლის დაკავების შესახებ. ამ დროისათვის, უსაფრთხოების სამსახური აღნიშნულ პირს მხოლოდ ინიციალებით (თ.მ.) მოიხსენიებს.

24.05.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ირანის დასავლეთ ნაწილში

ირანის ისლამური რესპუბლიკის სადაზვერვო სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას ქვეყნის დასავლეთ საზღვართან ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში ისრაელთან დაკავშირებული ტერორისტების დაკავების შესახებ. ირანის დაზვერვის მინისტრის, ესმაილ ხატიბის განმარტებით, დაკავებულებს მჭიდრო კავშირი აქვთ სიონისტურ რეჟიმთან.

24.05.2023

თურქეთის ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ჩრდილოეთ ერაყში

ერაყის ქურთისტანის რეგიონის კონტრტერორისტული სამსახური ავრცელებს ინფორმაციას გასულ კვირას შინგალის წინააღმდეგობის დანაყოფების (ასევე ცნობილი, როგორც „იაბშა“) წინააღმდეგ თურქეთის მიერ განხორციელებული წერტილოვანი სამხედრო-საჰაერო დარტყმების შესახებ, რომლის შედეგად დანაყოფის რამდენიმე მებრძოლი გარდაიცვალა.

25.05.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ნაირობიში

სომალისთან საზღვრების გახსნის შეთანხმების მიღწევიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კენიის ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია უსაფრთხოების სამსახურის მიერ ნაირობიში ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბაბის სამალავზე განხორციელებული ანტიტერორისტული რეიდის შესახებ. გარისას საპატრულო ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის, რესილა ონიანგოს განმარტებით, საგამოძიებო სამუშაოების ფარგლებში სამალავიდან ამოღებულია ტერორისტული თავდასხმის გეგმა და მისთვის საჭირო სამხედრო აღჭურვილობა.

25.05.2023

„აფრიკომის“ ანტიტერორისტული სპეცოპერაცია სამხრეთ სომალიში

ამერიკის შეერთებული შტატების აფრიკის სარდლობის („აფრიკომის“) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაადასტურა ინფორმაცია ჯუბას რეგიონში, ქალაქ ჯილიბში ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბაბის სამალავზე განხორციელებული წერტილოვანი სამხედრო-საჰაერო დარტყმების შესახებ. სპეცოპერაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ ტერორისტულმა ორგანიზაციამ გაავრცელა ვიდეო, სამხედრო მეთაურის აჰმედ დირის (ასევე ცნობილი, როგორც აჰმედ უმარი) მონაწილეობით. ექსპერტთა აზრით, ვიდეო სახელად „ჯიჰადი აღმოსავლეთ აფრიკაში“ 2023 წლის 8-15 მაისის პერიოდშია ჩაწერილი.

26.05.2023

მაჰად აქადუბის ლიკვიდაციის შესახებ

სომალის პრეზიდენტის, ჰასან შეიხ მაჰმუდის აპარატი ავრცელებს ინფორმაციას ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბააბის წინააღმდეგ პრეზიდენტის მიერ მხარდაჭერილი სამხედრო კამპანიის ფარგლებში გალმადუგის რეგიონში ჩატარებული უსაფრთხოების სამსახურის სპეცოპერაციის შედეგად, ტერორისტული ორგანიზაციის ფინანსური ოპერაციების ხელმძღვანელი მაჰად აქადუბის ლიკვიდაციის შესახებ.

26.05.2023

ტერორისტული თავდასხმის მცდელობა ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციაში

პაკისტანის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ავღანეთის საზღვართან ახლოს, ჩრდილოეთ ვაზირისტანში, ტერორისტული ორგანიზაცია „თეჰრიკ-ე-თალიბანის“ (ქართ. „პაკისტანის თალიბანი“) ყოფილ სამხედრო ბაზაზე ტერორისტული თავდასხმის აღკვეთის შედეგად ლიკვიდირებულია თავდამსხმელი. ადგილობრივმა საპატრულო სამსახურის დეპარტამენტმა გაავრცელა ინფორმაცია მიმდინარე საგამოძიებო სამუშაოების შესახებ, რომლის თანახმად, თავდამსხმელი ასაფეთქებელი მოწყობილობით დატვირთული მანქანის საშუალებით ხალხმრავალ სივრცეში სუიციდური თავდასხმის განხორციელებას გეგმავდა. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

27.05.2023

კენ ელიოტის გათავისუფლების შესახებ

88 წლის ავსტრალიის მოქალაქე, ექიმი კენ ელიოტი, შვიდწლიანი ტყვეობის შემდეგ, ალ კაიდას ისლამური მაღრების პროვინციის მებრძოლებმა გაათავისუფლეს. ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, პენი ვონგის განმარტებით, კენ ელიოტი მასზე რამდენიმე კვირით ადრე გათავისუფლებულ მეუღლესთან, ჯოსელინ ელიოტთან, სამშობლოში დაბრუნდა.

27.05.2023